

## მიშელ ფუკოს სოციალური დოქტრინის ძირითადი ცნებები

1. მიშელ ფუკო: “დისკურსი და ეპისტემე,”
2. მიშელ ფუკო: “ცოდნის არქეოლოგია”,
3. მიშელ ფუკო: “ძალაუფლების გენეალოგია”,
4. მიშელ ფუკო: “შეშლილობა და ცივილიზაცია”
5. მიშელ ფუკო: “კლინიკის დაბადება”,
6. მიშელ ფუკო: “დისციპლინა და სასჯელი”-ციხეების დაბადება,
7. მიშელ ფუკო: “სექსუალობის ისტორია”
8. მიშელ ფუკო: “სექსი – ყველაფრის ამხსნელია”.

**დისკურსი და ეპისტემე.** თავიდან აუცილებელია განისაზღვროს ცენტრალური ტერმინები, რომლებსაც იყენებს ფუკო თავის გამოკვლევაში. როდესაც ის ლაპარაკობს „არქეოლოგიის” შესახებ, მას მხედველობაში აქვს გარკვეული ისტორიული პერიოდის ცოდნისათვის დამახასიათებელი ფარული სტრუქტურების დადგენა. ის ხშირად შედგება ქვეცნობიერი ვარაუდებისა და ცრურწმენებისაგან ან წინასწარაკვიტებული იდეებისაგან, რომლებსაც სისტემაში მოყავთ და საზღვრებს მიუჩენენ ნებისმიერი ეპოქის აზრს. ისინი არსებითად განსხვავდებიან სუბიექტური წინასწარგანზრახვებისა და კოლექტიური მცდარობებისაგან: ეს არის აზროვნების რაღაც მოდელი, რომელიც ცალ-ცალკე ახასიათებს მოცემული დროის ყველა მოაზროვნეს. მაგალითად, ჯერ ითვლებოდა, რომ დედამიწა არის სამყაროს ცენტრი, შეუძლებელი იყო ვარაუდიც კი, რომ არსებობენ პლანეტების ელიპტიკური ორბიტები. ამგვარადვე, როგორც ფუკომ დაამტკიცა, „გონის” ცნების გარეშე ვერ იარსებობდა „შეშლილობის”, „გიჟობის” ცნებები.

**აზროვნების ტიპებს, ცრურწმენებს, ვარაუდებს, რომლებიც ქმნიან და ზღვარს უდებენ ნებისმიერი კონკრეტული ეპოქის აზრებს, ფუკომ დაარქვა „ეპისტემე”.** ამ სიტყვას იგივე ბერძნული ფესვი აქვს, როგორც „ეპისტემოლოგიას \_ ფილოსოფიის იმ ნაწილს, რომელიც შეისწავლის ჩვენი ცოდნის საფუძვლებს. (განვიხილოთ მაგალითად მიზეზ\_შედეგობრივი კავშირი. ჩვენ ვაფუძნებთ ჩვენს ცოდნას იმ წანამძღვარზე, რომ ფიზიკური სამყარო ექვემდებარება ამ კანონს. გარკვეულ მიზეზს ყოველთვის მივყევართ გარკვეულ შედეგამდე. თუ ეს ასე არ ხდება, ჩვენ ავტომატურად ვგულისხმობთ, რომ თავდაპირველმა მიზეზმა განიცადა გარკვეული ცვლილება. ამგვარად, მიზეზ\_შედეგობრივი კავშირი თავისთავად არ წარმოადგენს ცოდნას, არამედ არის გარკვეული წანამძღვრი, რომელსაც ცოდნა ეფუძნება). ფუკოს ეპისტემა არის ასეთი ვარაუდების მთელი სისტემა: რომელიმე ისტორიული ეპოქისათვის დამახასიათებელი აზროვნების გარკვეული ტიპი. ეპისტემა განსაზღვრავს ცოდნის საზღვრებს და ამ ეპოქისათვის თვით ჭეშმარიტების ცნებასაც. ყოველი ეპისტემა გარდუვალად ქმნის ცოდნის გარკვეულ სისტემას. ამ სისტემას ფუკომ დაარქვა დისკურსი. ამ ცნების ქვეშ იგულისხმება გარკვეული ეპისტემის მიერ შექმნილი კონცეფციების, პრაქტიკის, დებულებების და მრწამსის ერთიანობა.

ეპისტემის „აპრიორულ ისტორიულ ბუნებას“ ფუკო გვიჩვენებს „საგანთა წესრიგის . . .“ შესავალში. აქ მას მოყავს ციტატა ძველი ჩინური ენციკლოპედიიდან (რომელიც აღწერილია არგენტინელი მწერლის ხორხე ლუის ბორხესის მოთხრობაში). ამ ენციკლოპედიაში ყველა ცნობილი ცხოველი დაყოფილია სხვადასხვა ჯგუფებად საკმაოდ საინტერესო კლასიფიკაციით: ისინი იყოფიან „იმპერატორის კუთვნილებად“, „მოთვინიერებულებად“, „ბალზამირებულებად“ და ა.შ. ეს კლასიფიკაცია ჩვენ შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, მაგრამ ის ასევე ამტკიცებს, რომ ჩვენი საკუთარი კლასიფიკაცია შეიძლება არც გამოდგეს უფრო ლოგიკური. ისიც ასევე პირობითია: ესაა სისტემა, რომელიც შექმნილია ჩვენი კონკრეტული კულტურული წანამდღვრების (ეპისტემა) შესაბამისად. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მიკუთვნებულობა გარკვეული სახისადმი, გვარისადმი ან ბიოლოგიური ნათესაობა უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ის, თუ ვის ეკუთვნის ცხოველი. (იქნებ ჩვენ სხვა აზრი გვექნებოდა, თუ იმპერატორის ცხოველთან მიკარება დასაჭურისებით დაგვემუქრებოდა, როგორც ეს იყო ძველ ჩინეთში). ბორხესის მოთხრობა გვიჩვენებს, რომ კლასიფიკაციის ნებისმიერი სისტემა ყოველთვის რაიმე საზღვრებშია მოქცეული ანუ აქვს თავისი საზღვრები. სადა არის ჩვენი ეპისტემის საზღვარი? ჩვენ ეს კითხვა ჩვენს თავს უნდა დავუსვათ.

ფუკოს არ შეუწყვეტია ამ საკითხის კვლევა, სოციალურ მეცნიერებებში ატარებდა „არქეოლოგიურ გათხრებს“. ის იწყებს რენესანსის ეპისტემით. სამწუხაროს რენესანსი მან საკმაოდ მოკრძალებულად და თითქოს წინასწარაკვიატებული იდეებით დაახასიათა. მისი აზრით აღორძინების ეპისტემა ეფუძნებოდა მსგავსებებს: „ანალოგიურობას“ და „შესაბამისობას“. ის ამას აჩვენებს ე.წ. „სახასიათო თვისებების თეორიით“ აღწერით, რაც მართლაც ტიპური იყო რენესანსის ეპოქის აზროვნებისათვის. ამ თეორიის თანახმად, ღმერთი მიუთითებს საგანთა ნათესაობაზე, ანიჭებს რა მათ მსგავსებებს (ან სახასიათო თვისებებს, ნიშნებს). მაგალითად, ორქიდეა ძალიან გავს კვერცხს. ეს ნიშნავს, რომ მისი გამოყენება შეიძლება ვენერიული დაავადებებისაგან განსაკურნავად. ამგვარადვე, ქრისტესისხლას ყვითელი ყვავილი გამოიყენებოდა სიყვითლის სამკურნალოდ. აღორძინების ეპოქის მოაზროვნებისათვის სამყარო იყო გადაშლილი წიგნი, რომელსაც „წაკითხვა“ სჭირდება. ქვაკუთხედად ითვლებოდა მეტაფორული მნიშვნელობები და მათი ინტერპრეტაცია და არა დაკვირვება და ექსპერიმენტი.

ნამდვილად ასე მიმდინარეობდა მედიცინაში და ჩამოყალიბების სტადიაში მყოფ ქიმიაში (რომელიც გადაჯაჭვულია ალქიმიასთან). მაგრამ ამას ვერ იტყობდი ასტრონომიასა და ბიოლოგიაზე (რომელთა განვითარების ჩქარი ტემპები განაპირობა ტელესკოპისა და მიკროსკოპის გამოგონებამ), ანატომიასა და ფიზიკაზე. ფუკოს მოყავს ციტატები აღორძინების ეპოქის ზოგიერთი მოაზროვნის – მედიცინის დამწყების პარაცელსის, მათემატიკოს კარდანოს, ფილოსოფოს კამპანელას ნაშრომებიდან. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ პარაცელსი იყო ბრწყინვალე ექიმი, ის ჩაფლული იყო ალქიმიოში, ისევე, როგორც კარდანო იყო ასტროლოგი, ხოლო კამპანელა – უტოპისტი ფილოსოფოსი. აღორძინების უზარმაზარი და ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოღვაწეები იგნორირებულნი იყვნენ. სიტყვა არ იყო დამრული კოპერნიკზე, გალილეოზე ან ჰარვეზე ( რომლის მიერ აღმოჩენილმა კანონმა სისხლის ცირკულაციის შესახებ დავიწყებას მისცა შუასაუკუნეების მითები, მაგალითად „სახასიათო თვისებების თეორია“).

ფუკოს ეპისტემის თეორია ნამდვილად მნიშვნელოვანია, მაგრამ მის ხელში მას ზედმეტი სქემატურობა ახასიათებს. რენესანსის ეპოქას არა ერთი, არამედ რამდენიმე ეპისტემა ახასიათებს: კოპერნიკმა აღმოაჩინა მზის სისტემის არსებობა, მაგრამ თავისი აღმოჩენის დასასაბუთებლად იშველიებდა ალქიმიკოსი ჰერმეს ტრიმეგისტის ავტორიტეტს. ერთი ეპისტემიდან მეორეზე გადასვლა ბევრად უფრო ძნელი აღმოჩნდა ვიდრე ფუკო ვარაუდობდა.

მაგრამ ამ შემთხვევაში ფუკოს ნაშრომის ძირითადი იდეა უდავოა. აღორძინების ეპისტემა შეიცვალა კლასიკურით (ან განმანათლებლობის ეპისტემით). აზრი მიუბრუნდა განსხვავების

იდეას, უარი თქვა მსგავსების იდეაზე. ანალიზმა გზა მისცა გაზომვასა და ექსპერიმენტს. გონებამ დაადგინა განსხვავება. შედეგად აღმოჩნდა, რომ ქიმიური ნივთიერება შედგება ცალკეული ელემენტებისაგან ან მათი კომბინაციებისაგან, მცენარეები და ცხოველები დაჯგუფდნენ სახეებად, ოქრო პირვლად გადაიქცა ეროვნული სიმდიდრის საზომად.

ცოდნა უკვე აღარ იყო საიდუმლოებებით მოცული, აღარ წარმოადგენდა რჩეულთა პრივილეგიას. ეს არის შედეგი მეცნიერული დაკვირვებისა, რაც ყველასათვის ღიაა. მაგრამ ამ ეპისტემას, დაფუძნებულს ცოდნასა და დაკვირვებაზე ქონდა საინტერესო (გვერდითი ან თანმყოლი) ეფექტი. სამყაროს სურათის მეცნიერული გზით წვდომის მცდელობისას დაიკარგა (განადგურდა) უშუალოდ შემმეცნებელი სუბიექტი (დამკვირვებელი). მეცნიერულ გამოკვლევაში ადამიანისათვის არ დარჩა ადგილი.

XIX საუკუნის დადგომით ესეც შეიცვალა. კაცობრიობის შესწავლა დაიწყეს, როგორც ისტორიის სუბიექტისა. ისეთი განსხვავებული მოაზროვნეები, როგორებიც იყვნენ დარვინი, ჰეგელი, მარქსი – კაცობრიობას უკვე განიხილავენ მის ისტორიულ განვითარებაში. აზროვნების ეს ტიპი შენარჩუნებულ იქნა თვით XX საუკუნემდე. ამ ეპისტემის გავლენა ცენტრალური იყო ეგზისტენციალიზმისათვის (სარტრის), რომელმაც „არსებობა არსებაზე ადრე გამოაცხადა“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანი თავის თავს ქმნის თავისი არსებობით, და არ ღებულობს მას დაბადებისთანავე. ბიოლოგიაში ადამიანი გადაიქცა ანთროპოლოგიური კვლევის ობიექტად; ეკონომიკაში სიმდიდრე იზომება შრომითი მაჩვენებლებით, და არა უსიცოცხლო ოქროს რაოდენობით. გონიერმა ადამიანმა სიღრმე შეიძინა და გახდა ფსიქოლოგიის შესწავლის ობიექტი. მაგრამ, როგორც ფუკო ამბობდა, ეს წესრიგი დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა: „VIII საუკუნის დასასრულამდე ადამიანი არ არსებობდა. როგორც ადვილად აჩვენებს ცოდნის(აზრის) არქეოლოგია, ადამიანი – ეს ახლო წარსულის აღმოჩენაა და შეიძლება, მისი ბოლო მალევე დადგეს.“

ფუკოს მეთოდოლოგიის არსებას ორი ცნება შეადგენს – “ცოდნის არქეოლოგია” და “მალაუფლების გენეალოგია”.

**“ცოდნის არქეოლოგია** “აწესრიგებს (ორგანიზებას უკეთებს) დოკუმენტს, ანაწევრებს მას, კლასიფიკაციას უკეთებს, აწესრიგებს, ანაწილებს დონეების შესაბამისად, აღნიშნავს რელევანტურსა და არარელევანტურს, გამოყოფს ელემენტებს, განსაზღვრავს ერთობლიობებს, აღწერს ურთიერთკავშირებს.

დისკურსი და მის მიერ შექმნილი დოკუმენტები უნდა გაანალიზდეს, აღიწეროს და ორგანიზება გაუკეთდეს.

ისინი არ ემორჩილებიან და არ ექვემდებარებიან ინტერპრეტაციებს, რომლებიც გაგების რაღაც “სიღრმისეული” დონის აღმოჩენას ესწრაფვიან. ფუკო ასევე გამორიცხავს წარმოშობის ძიებას: მნიშვნელობა აქვს თავად დოკუმენტებს და არა მათი წარმოშობის მომენტს.

ფუკო მრავალ რაიმეში ნიციშეს ფილოსოფიის მძლავრ გავლენას განიცდის). **“მალაუფლების გენეალოგია”** ინტელექტუალური ისტორიის სავსებით განსაკუთრებულ ტიპს, “ისტორიული არსებების ორგანიზებულ და მოწესრიგებულ ტრაექტორიებად შეერთების წესს” წარმოადგენს, რომელიც არც მათი წარმოშობის მარტივი ახსნაა და არც მათი შედეგების აუცილებელი გაცნობიერება.

ამგვარად, გენეალოგია განსხვავდება ისტორიული კვლევების სხვა სახეებისაგან, რომლებიც ამ კანონებს თუ აუცილებლობებს უპირატეს მნიშვნელობებს ანიჭებენ. გენეალოგიური თვალსაზრისით, ყველაფერი შემთხვევით ხასიათს ატარებს. გენეალოგია თავისი არსით კრიტიკულია, იგი იგი ყოველივე იმის მიმართ კითხვების დაუღალავ

დასმას (დაკითხვას) გულისმობს, რაც მოცემულ, აუცილებელ, ბუნებრივ ან ნეიტრალურ რაიმედაა მიჩნეული.

უფრო კონკრეტულად, “გენეალოგია იკვლევს ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ცოდნასა და ძალაუფლებას შორის ურთიერთკავშირს და მათ იმ პრაქტიკებს, რომლებიც ადმიანთა ხელმძღვანელობას, ქცევათა მართვასა და პიროვნების ჩამოყალიბებას ეხება.

ამგვარად, გენეალოგია “დღევანდელი, აწმყოს ისტორია” უნდა იყოს; აწმყოს ისტორიად უნდა იქცეს. მაგრამ იგი არ უნდა აგვერიოს “პრეზენტის”, რომელიც “ინტერპრეტაციის, რომელიც ისტორიკოსის პირადი გამოცდილებიდან ან კონტექსტიდან იბადება, სტრუქტურის წარსულის შესასწავლ ასპექტებზე განუზრახველ და გაუცნობიერებელ პროექციას გულისხმობს” ამის ნაცვლად, ფუკო ცდილობს ნათელი მოფინოს აწმყოსა და დღევანდელი, იყენებს რა “ისტორიულ რესურსებს იმისათვის, რათა გაიაზროს იმ ელემენტების განსხვავებული ტრაექტორიების შემთხვევითობები, თავისებურებები, ურთიერთკავშირები და პოტენციალური შესაძლებლობები, რომელი ელემენტებიც გამოცდილების სახით შედიან თანამედროვე დადგენილებებში” აქ არ არის არანაირი დეტერმინიზმი. აწმყო, დღევანდელი, აუცილებლობით და გარდაუვლად არ არის წარსული ხდომილებების შედეგი. ფუკო ორიენტირებულია ისტორიის კრიტიკულ გამოყენებაზე იმისათვის, რათა დღევანდელი, აწმყოს შესაძლებლობები ნათელჰყოს.

ძალაუფლების გენეალოგიაში ფუკო ბჭობს იმის შესახებ, თუ როგორ მართავენ ადამიანები საკუთარ თავს და სხვებს ცოდნის შექმნის მეშვეობით. სხვათა შორის, იგი ანალიზებს იმას, თუ როგორ ბადებს ცოდნა ძალაუფლებას, განსაზღვრავს რა ადამიანებს გავლენის ობიექტების სახით და შემდეგ როგორ მართავს ცოდნის დახმარებით ამ ობიექტებს.

გვაქვს რა ასეთი საფუძველი, ახლა შეიძლება ფუკოს ზოგიერთი კონკრეტული დამოუკიდებელი შრომის განხილვას მივმართოთ.

**“შეშლილობასა და ცივილიზაციაში”** ფუკო ეწევა ცოდნის, განსაკუთრებით ფსიქიატრიაში არსებული ცოდნის არქეოლოგიას. თავის გამოკვლევას იგი აღორძინების ეპოქიდან იწყებს, როდესაც შეშლილობა და გონება ჯერ კიდევ არ გაყრილან, ერთად იმყოფებიან. მაგრამ 1650 და 1800 წლებს (კლასიკურ პერიოდში) შორის, მათ შორის დადგენილი იქნა დისტანცია და საბოლოო ანგარიშით გონებამ დაიმორჩილა შეშლილობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფუკო აღწერს გონებასა და შეშლილობას შორის “დარღვეულ დიალოგს”. იგი აღწერს ამ პროცესის საბოლოო შედეგს:

“ამ მომენტში მთელი თავისი სიდიადით გამეფდა გონება, ზეიმობდა რა გაცოფებულ უგონობა-შეშლილობაზე. ამგვარად, შეშლილობას წაართვეს ის ილუზორული თავისუფლება, რომელიც ჯერ კიდევ აძლევდა აღორძინების ეპოქის საზღვრებზე განვითარების საშუალებას. არც თუ დიდი ხნის წინათ, იგი გაჭირვებით გადაადგილდებოდა დღისით თუ მზისით “მეფე ლირში”, “დონ კიხოტში”. მაგრამ, არა ნაკლებ ნახევარი საუკუნის შემდეგ, იგი უკვე იზოლირებული და შეზღუდვების ციხეში გამოკეტილი იყო, დამოკიდებული გახდა გონებაზე, მორალის წესებსა და მათ ერთფეროვან ღამეებზე”.

ამგვარად, ფსიქოლოგია (და ფსიქიატრია) ფუკოსათვის არის არა მეცნიერული მცდელობა, ცდა, არამედ მორალური საქმიანობა, წარმოება, მიმართული შეშლილების წინააღმდეგ, რომლებიც თანდათანობით კარგავენ ამ “დახმარებისაგან” თავდაცვის უნარს. იგი თვლის, რომ ე.წ. მეცნიერული პროგრესი შეშლილებს “კოლოსალურ მორალურ პატიმრობას” უსჯის.

**“კლინიკის დაბადება”**. თუმცა მედიცინაში ჯერ კიდევ არ არსებობდა კლინიკური სტრუქტურა, საკვანძო მნიშვნელობა ქონდა კლინიკის წარმოშობას, სადაც პაციენტებს

საწოლში აკვირდებოდნენ. აქ ძირითადი მნიშვნელობა აქვს ფუკოს მიერ გამოყენებულ “დაძაბული-დაჟინებული შეხედულების” გამოთქმას, მოცემულ შემთხვევაში “დაჟინებული შეხედულება-ხედვა, ამავე დროს, ყოფილი ცოდნაა” (ფუკო, 1975, გვ. 81). სხვაგვარად, ცოდნა მიიღებოდა ექიმთა მიერ დაკვირვებული მოვლენებიდან, რომლებიც არ ემთხვეოდნენ იმას, რასაც ისინი წიგნებში კითხულობდნენ. როგორც სტრუქტურალისტი, ფუკო ამ დაჟინებულ-დაძაბულ ხედვას თავისებურ ენად, “ენად სიტყვების გარეშე”, თვლიდა და დაინტერესებული იყო ამ “ენის” სიღრმისეული სტრუქტურით. ავადმყოფების (ან უკვე გარდაცვლილების) დაკვირვების და შეხების (განსაკუთრებით გაკვეთისას) უნარი გადამწყვეტი ხასიათის ცვლილებად და ცოდნის მნიშვნელოვან წყაროდ იქცა. გაკვეთის (ექსგუმაციის) შესახებ ფუკო ამბობს: “ცოცხალი წყვილიანი სიკვდილის შუქზე ნათდება” (1975, გვ.146). ანატომიურ-კლინიკურ დაჟინებულ-დაძაბულ ხედვას ფუკო “დიდ გარღვევად” თვლის დასავლურ მედიცინაში. ამგვარად, მოხდა არა ცოდნის ევოლუცია, არამედ ეპისტემის შეცვლა. ექიმები უკვე აღარ თამაშობდნენ იგივე თამაშს; ეს იყო უკვე სხვა თამაში სხვა წესებით. ეს თამაში მდგომარეობდა იმაში, რომ ადამიანები (პაციენტები) მეცნიერული ცოდნის და პრაქტიკის საგნად იქცნენ (შეცვალეს რა დაავადება შესასწავლი არსების სახით). სტრუქტურალისტური მიდგომის თვალსაზრისით, შეიცვალა დისკურსის სწორედ ხასიათი: დაავადებათა დასახელებები, სახელწოდებები, დაჯგუფებები, დაკვირვებული ობიექტების სფერო და ა.შ. (ფუკო, 1975, 54).

**დისციპლინა და სასჯელი**. აღწერილი თემებიდან მრავალი წამოყენებულია შრომაში “დისციპლინა და სასჯელი” ამ ნაწარმოებში ფუკო განიხილავს 1757 და 1830 წლების ინტერვალს – ანუ პერიოდს, როდესაც ტუსაღთა წამება სატუსაღოს წესებით კონტროლმა შეცვალა საყოველთაოდ მიღებული შეხედულების თანახმად, წამებიდან წესებისაკენ ეს გადაადგილება ტუსაღების მიმართ დამოკიდებულების ჰუმანიზაციას წარმოადგენდა; იგი უფრო რბილი, ნაკლებ მტანჯველი და ნაკლებ მკაცრი გახდა. სინამდვილეში კი, როგორც ფუკო თვლის, სასჯელი უფრო რაციონალიზებული გახდა (“ჯალათი გილიოტინაზე მხოლოდ როგორც პედანტი ყარაული, ისე უნდა გამოიყურებოდეს”) და მრავალი მიმართებით უფრო მეტადაც კი დაარტყა პატიმრებს. ტუსაღთა, სასჯელმისჯილთა ადრეული წამებანი, შეიძლება მოწყობლიყო საჯარო დემონსტრაციებისათვის, მაგრამ ეს “ძალაუფლების ცუდი ეკონომიკა” იყო, რამდენადაც, როგორც წესი, მაცურებელთა შორის იწვევდა მღელვარების წარმოდგენებს. წამების დროს ნათლად ვლინდებოდა კავშირი ცოდნასა და ძალაუფლებას სორის; წესების შემოტანით კი ეს კავშირი გაცილებით ნაკლებ ცხადი და ნათელი გახდა. წესების ახალი სისტემა იყო “უფრო რეგულარული, უფრო ეფექტური, უფრო უცვლელი, უფრო მყარი და უფრო დეტალური თავისი შედეგებით; მოკლედ რომ ვთქვათ, ესაა წესები, რომლებიც ამაღლებენ მის ზემოქმედებას, თანაც ისე, რომ ამცირებენ მის ეკონომიკურ ღირებულებას”. ახალი სისტემა გამიზნული იყო არა იმისათვის, რომ უფრო ჰუმანური ყოფილიყო თუ გამხდარიყო, არამედ იმისთვის, “რათა უკეთესად დაესაჯა... რათა უფრო ღრმად ჩაესო დამსჯელი ხელისუფლება-ძალაუფლება სოციალურ სხეულში”. წამებისაგან განსხვავებით დამსჯელი ძალაუფლების ეს ახალი ტექნოლოგია ადრეც გვხვდებოდა არასტანდარტულ შემთხვევებში, იგი უფრო მრავალრიცხოვანია, უფრო ბიუროკრატიზირებულია, უფრო ეფექტურია, უფრო უპიროვნო-უსახოა, უფრო მდგრადია, უფრო განსჯითია და გულისხმობს ზედამხედველობას არა მხოლოდ დამნაშავეებზე, არამედ მთლიანად საზოგადოებაზეც.

ეს ახალი ტექნოლოგია, დისციპლინარული ძალაუფლების ტექნოლოგია, სამხედრო წესრიგს და წესებს ემყარებოდა.

იგი დისციპლინარული ძალაუფლების სამ ინსტრუმენტს გამოყოფს:

პირველი – იერარქიული თვალთვალის, ანუ ჩინოვნიკთა მიერ ყველაფერ იმის თვალთვალის და დაკვირვება, რაც მათ მიერ კონტროლირდება, ერთი დაძაბული-დაჟინებული ხედვით. მეორე ინსტრუმენტი – მანორმალიზებული განაჩენის-მსჯავრის გამოტანის-დადების უნარი და იმათი დასჯა, ვინც ნორმებს არღვევს. ასე, მაგალითად, ადამიანები შეიძლება უარყოფითად შევაფასოთ და დავსაჯოთ დროის კატეგორიებში (დაგვიანებისათვის), საქმიანობის კატეგორიებში (უწყურადღებობის გამო) და ყოფაქცევის კატეგორიებში (უპატივცემულობის გამო).

მესამე ინსტრუმენტი – ადამიანზე თვალთვალისა და დაკვირვებისათვის და მათ შესახებ მანორმალიზებული განაჩენების გამოტანაში გამოკვლევების გამოყენება. დისციპლინარული ძალაუფლების ეს ინსტრუმენტი ორივე დანარჩენს მოიცავს.

ფუკო დისციპლინარული საზოგადოების წარმოშობის არა მხოლოდ უარყოფით მხარეებზე ლაპარაკობს; მისი აზრით ამას ასევე დადებითი შედეგებიც აქვს. მაგალითად, იგი თვლის, რომ დისციპლინა პოზიტიურად ფუნქციონირებს სამხედრო და სამრეწველო ქარხნებში. მიუხედავად ამისა, ფუკო შემოფოთებას განიცდის საზოგადოებაში დისციპლინის გავრცელების გამო, განსაკუთრებით სახელმწიფო პოლიციის ქსელში მისი დამკვიდრებისა და გამო, რომლისთვისაც მთელი საზოგადოება ხდება თვალთვალის, აღქმის ველი და დასჯის ობიექტი.

ფუკო არ თვლის, რომ დისციპლინა ერთსახოვნად და ერთმნიშვნელოვნად მოიცავს მთელ საზოგადოებას, ფუკო ფიქრობს, რომ იგი “მიძვრება” და განმსჭვალავს საზოგადოებას და მისი წინსვლის ზომის შესატყვისად ზემოქმედებს მის განსაზღვრულ ნაწილებზე. საბოლოო ანგარიშით, დისციპლინარული გავლენის ქვეშ მნიშვნელოვანი ინსტიტუტების უმრავლესობა აღმოჩნდება. ფუკო რიტორიკულ კითხვას სვამს: “განა საკვირველია, რომ ციხეები და სატუსაღოები ასე გავს ქარხნებს, სკოლებს, ყაზარმებს, საავადმყოფოებს, რომლებიც, თავის მხრივ, ყველა ციხეების მსგავსია?” საბოლოო ანგარიშით, ფუკო ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ სადამსჯელო სისტემის წარმოშობისას დისციპლინა “სადამსჯელო ინსტიტუტიდან მთელ სოციალურ სხეულზე გადაადგილდება”.

მიუხედავად იმისა, რომ “დისციპლინა და სასჯელში” ცხადად და ნათლად უფრო მეტ ყურადღებას ფუკო ძალაუფლების საკითხს უთმობს, ამ შრომაშიც მას ასევე აინტერესებს მისთვის ჩვეული თემა; ჰუმანიტარული მეცნიერებების წარმოშობა. წამებისაგან ციხის წესებზე გადასვლა სხეულის დასჯისაგან სულის, ანუ ნების დასჯაზე გადასვლას მოასწავებდა. ამ ცვლილებამ, თავის მხრივ, ნორმისა და ზნეობრიობის მოსაზრებები შემოიტანა. ციხის ჩინოვნიკებმა და პოლიციამ დაიწყეს პატიმრის ნორმალურობისა და მორალურობის შეფასება. საბოლოოდ, განსჯის თუ განკითხვის ეს უნარი სხვა “მცირე მასშტაბის” მქონე მოსამართლეებზე-მსაჯულებზეც, მაგალითად, ფსიქიატრებზე და პედაგოგებზეც გავრცელდა. ყველა ამ მსჯავრ-მსჯელობებიდან წარმოიშვა მეცნიერული სადამსჯელო ცოდნის ახალი ქვეგანყოფილებები, რაც შემდეგში თანამედროვე “მეცნიერულ-იურიდიული კომპლექსის” საფუძველი გახდა. მორჩილების ახალი სახე მდგომარეობდა იმაში, რომ ადამიანები განისაზღვრებოდნენ უკვე როგორც ცოდნის, მეცნიერული დისკურსის ობიექტი. საკვანძო მომენტი იმაშია, რომ აქ თანამედროვე ჰუმანიტარული მეცნიერების წყაროები და საწყისები ვლინდება

. ფუკომ დამცინავად გამოსახა ამ დისციპლინების კალაპოტიდან ჰუმანიტარული მეცნიერებების წარმოშობა: “ამ მეცნიერებათა ტექნიკური მატრიცა, რომელიც აგერ უკვე საუკუნეზე მეტია ამდენად აღაფრთოვანებს ჩვენს “ადამიანისმოყვარეობის” გრძნობას – ამ დისციპლინების და მათი კვლევების უმნიშვნელო ღვარძლიან წვრილმანებშია” (ფუკო, 1979, გვ. 226).

ღირს “დისციპლინისა და სასჯელის” კიდევ ერთი ასპექტის გახსენება. ფუკოს აინტერესებს, თუ როგორ ბადებს ცოდნა ძალაუფლების განხორციელების მეთოდებს. მოცემულ კონტექსტში იგი განიხილავს “პანოპტიკუმს”. ესაა სტრუქტურა, რომელიც საშუალებას აძლევს მომსახურე პერსონალს პატიმართა ცხოვრების ყველა ასპექტს უთვალთვალონ. არსებითად, ზედამხედველთა მუდმივი თვალთვალი არ მოითხოვება; ამ სტრუქტურის თავად არსებობა (და მომსახურეთა-მოთვალთვალეთა არსებობის შესაძლებლობა) აკავებს დამნაშავეებს. პანოპტიკუმმა შეიძლება წრიული ციხის ცენტრში მდებარე კოშკის სახე მიიღოს, რომლიდანაც ყარაულს შესაძლებლობა ეძლევა დაინახოს ყველა კამერა-დილეგი. პანოპტიკუმი ციხის თანამშრომლებისათვის ძალაუფლების უზარმაზარი წყარო ხდება, რამდენადაც მათი ტოტალური ზედამხედველობა - თვალთვალის შესაძლებლობას აძლევს. კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ პანოპტიკუმის ძალაუფლება ფართოვდება პატიმართა მიერ საკუთარი თავის კონტროლის ხარჯზე; ისინი თავს იკავებენ სხვადასხვა ქმედებებისაგან, იმიტომ, რომ ეშინათ, რომ მათ მეთვალყურენი დაინახავენ.

აქ შეიმჩნევა ცოდნას, ტექნოლოგიასა და ძალაუფლებას შორის ცხადი კავშირი. გარდა ამისა, ფუკო უბრუნდება ჰუმანიტარული მეცნიერების თავის ჩვეულ თემას, რამდენადაც პანოპტიკუმს განიხილავს, როგორც ადამიანთა შესახებ ინფორმაციების მოსაკრებელ განსაზღვრულ ლაბორატორიას. პანოპტიკუმი იყო ადამიანთა შესახებ ინფორმაციის მოგროვებისათვის გამოყენებული სოციალურ - მეცნიერული ლაბორატორიებისა და სოციალური მეცნიერების სხვა მეთოდთა წინამორბედი და მაცნე. სხვა დონეზე ფუკო პანოპტიკუმს განიხილავს, როგორც “საზოგადოების მთლიანი ტიპის”, დისციპლინარული საზოგადოების საფუძველს.

**“სექსუალობის ისტორია”** დასასრულს, ჩვენ შეგვიძლია გავცნოთ “სექსუალობის ისტორიის” პირველ ტომს. აქ კვლავაც ძალაუფლების გენეალოგიაზე კეთდება აქცენტი. ფუკოს თვალსაზრისით, სექსუალობა “ძალაუფლებისათვის განსაკუთრებულად მყარი გადასასვლელი წერტილია”. იგი თავის მიზანს “ძალაუფლება - ცოდნა - სიამოვნება რეჟიმის განსაზღვრებაში ხედავს, რომელიც იცავს, მხარს უჭერს ადამიანური სექსუალობის შესახებ დისკურსს მსოფლიოს ჩვენს ნაწილში”. ფუკო იკვლევს, თუ როგორ ერთვება სექსი დისკურსში და როგორ განმსჭვალავს, ასაზრდოებს ძალაუფლებას ამ დისკურსს.

ფუკო ეკამათება საყოველთაოდ მიღებულ შეხედულებას იმის შესახებ, რომ ვიქტორიანული ეპოქის შეხედულებებმა მთლიანად სექსუალობის და კერძოდ კი სექსუალური დისკურსის დათრგუნვასთან მიგვიყვანეს. იგი პირდაპირ საპირისპიროს ამბობს: ვიქტორიანელობამ სექსუალობის შესახებ დისკურსების აფეთქებასთან მიგვიყვანა. ვიქტორიანელობის შედეგად გაჩნდა სექსუალობის მეტი ანალიზი, შეფასებები, კლასიფიკაციები, დეტალური განხილვები და რაოდენობრივ-მიზეზობრივი გამოკვლევები. ფუკო წერს: “ადამიანები მუდამ ეკითხებიან თავის თავს, თუ რატომ გვექონდა ამდენად დიდი სწრაფვა ბოლო მოგველო იმის შესახებ დუმილის წესებისათვის, რაც ყველაზე დიდი ხმაურის მქონე იყო ჩვენი საზრუნავიდან”. განსაკუთრებით, ასეთი სიტუაცია შეიმჩნეოდა სკოლებში, სადაც სექსუალობის დათრგუნვის ნაცვლად “სექსის საკითხი მუდმივი საზრუნავი იყო”. აი, როგორ აჯამებს ფუკო ვიქტორიანულ ჰიპოთეზას და თავის ალტერნატიულ შეხედულებას:

“მაშასადამე, ჩვენ უნდა უარი ვთქვათ ჰიპოთეზაზე, რომლის თანახმადაც თანამედროვე ინდუსტრიალურმა საზოგადოებებმა ტახტზე აიყვანეს სექსუალობის გაძლიერებული დათრგუნვის ეპოქა. ჩვენ არა მხოლოდ მოწმენი ვიყავით არატრადიციული სექსუალობის შესამჩნევად მძლავრი ზრდისა... არასდროს დღემდე არ არსებულა

ძალაუფლების მეტი ცენტრები; არასდროს არ გამოხატულა და გამოთქმულა უფრო მეტი ყურადღება... არასდროს არ არსებულა უფრო მეტი ადგილების რაოდენობა, სადაც სიამოვნების ნაჯერობა-გაჯერებულობას და ძალაუფლების დაჯინებულობას დაეპყროთ ტერიტორიები მხოლოდ იმისათვის, რათა სხვა ადგილებში გავრცელებულიყვნენ”.

ფუკო კიდევ ერთხელ ანიჭებს მედიცინასა და მის დისკურსს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სექსუალობის საკითხებში. მაშინ, როდესაც უმრავლესობას მიაჩნია, რომ მედიცინა სექსუალობის მეცნიერულ ანალიზზეა ორიენტირებული, ფუკო მედიცინის მიმართ მკაცრ დამოკიდებულებას ავლენს: იგი ვარაუდობს, რომ მედიცინის დისკურსის მიზანია “არა ჭეშმარიტების დადგენა, არამედ თავად მისი გამოვლინების თავიდან აცილება”.

სექსუალობის საკითხის მორალურ ასპექტში ასევე ერთვება რელიგია, ზუსტად ისევე, როგორც როგორც ადამიანები აღსარებებს ეუბნებოდნენ თავიანთ მოძღვრებს, ასევე აღსარებებს ეუბნებოდნენ ისინი თავიანთ ექიმებს, ფსიქიატრებს და სოციოლოგებს. აღსარება, განსაკუთრებით სექსუალური აღსარება, მეცნიერული მეთოდით იყო მენიღებული.

დასავლეთში საკითხის გამორკვევა, თუ ვინა ვართ ჩვენ, სულ უფრო მეტი ხარისხით დაუკავშირდა სექსს. ფუკო ამას ასე აჯამებს: “სექსი – ყველაფრის ამხსნელია”.

ფუკო არ ამახვილებს ყურადღებას სექსუალობის დათრგუნვაზე, ამის ნაცვლად იგი ამტკიცებს, რომ სექსის მეცნიერული შესწავლა მიმართული უნდა იყოს სექსისა და ძალაუფლების ურთიერთკავშირის განხილვაზე. და კვლავაც, ძალაუფლება არ ამოდის რაღაც ერთი ცენტრიდან; იგი მიკროსფეროთა სიმრავლეში არსებობს. გარდა ამისა, როგორც ეს მუდმივად ხდება ფუკოსთან, იგი ამტკიცებს, რომ ძალაუფლების მიერ განხორციელებულ გავლენასა და ზეწოლას სექსზე წინააღმდეგობას უწევენ. ყველგან არსებობს როგორც ძალაუფლება ისე წინააღმდეგობა ძალაუფლებისადმი.

XVII-ე საუკუნემდე საზოგადოება ისწრაფვოდა განხორციელებინა კონტროლი სიკვდილზე, მაგრამ ამ საუკუნეების დასაწყისიდან ამ სწრაფვამ სიცოცხლის კონტროლზე გადაინაცვლა, განსაკუთრებით კი სექსის კონტროლზე.

სიცოცხლეზე ( და სექსზე) ძალაუფლებამ ორი ფორმა მიიღო:

პირველი, არსებობდა “ადამიანური სხეულის ანატომიური პოლიტიკა,” რომლის მიზანი ადამიანური სხეულის (და მისი სექსუალობის) დისციპლინირება იყო.

მეორე: არსებობდა “მოსახლეობის ბიოპოლიტიკა”, რომლიც მიმართული იყო მოსახლეობის ზრდის, და მისი ჯანმრთელობის სიცოცხლის ხანგრძლივობის და ა.შ. კონტროლსა და რეგულირებაზე.

ორივე შემთხვევაში საზოგადოება განიხილავდა “სიცოცხლეს, როგორც პოლიტიკურ ობიექტს”. სექსი ცენტრალურ ადგილს იჭერდა ორივე შემთხვევაში: “სექსი იყო მიდგომის და მიწვდომის საშუალება როგორც ადამიანის სიცოცხლისადმი ისე ადამიანური მიდგომის სიცოცხლისაკენ.” თანამედროვე დასავლეთში სექსმა შეიძინა უფრო მეტი მნიშვნელობა, ვიდრე სულმა ( და ჩვენ ვიცით, თუ როგორი მნიშვნელოვანია ეს საკითხი ფუკოს შემოქმედებაში), და თითქოს ისეთივე მნიშვნელოვანი გახდა, როგორც თავად სიცოცხლე. სექსუალობის შესახებ ცოდნის დახმარებით საზოგადოება დიდ ძალაუფლებას იღებს თავად სიცოცხლეზე. მაგრამ, მიუხედავად ამ კონტროლის გაფართოებისა, ფუკო მაინც იმედოვნებს განთავისუფლებას:

“ჩვენ ბოლო უნდა მოვუღოთ სექსის გავლენას თუ ვისწრაფვით – სექსუალობის მექანიზმების ტაქტიკური შეცვლის გზით – დავუპირისპირდეთ ძალაუფლების მარწუხებს სხეულის, სიამოვნებების და ცოდნის მოთხოვნების და წინაარმდეგობის გაწევის



შესაძლებლობის დახმარებით. კონტრდარტემისა და შეტვის დამრაზმავი საწყისი არა სექსუალური ლტოლვა, არამედ სხეული და სიამოვნება უნდა იყოს”

სხვა თეორეტიკოსებისგან განსხვავებით ფუკო განიხილავს არა კონკრეტულ სახელმწიფოს, არამედ “მმართველობისა და ხელმძღვანელობის წესებისა და ხერხების წარმომქმნელ პრაქტიკასა და რაციონალობას”. ასე. მაგალითად, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, ცოდნისადმი ნების თვალსაზრისით, ფუკო განიხილავს იმას, თუ როგორ რეგულირდება (იმართება) სხეული, როგორ იმართება ქცევა და როგორ ყალიბდება პიროვნება. სხვანაირად რომ ვთქვათ, მას აინტერესებდა საკუთარი თავის მართვა, სხვების მართვა და სახელმწიფოს მართვა. ყველაზე ზოგადად, მართვა ფუკოსთვის “ქცევის ხელმძღვანელობასთან” არის დაკავშირებული.

უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, რაც ფუკო არ არის, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ადრინდელი ფრანგი სტრუქტურალისტი დღესაც აგრძელებს აქტიურ საქმიანობას, პოსტმოდერნისტულმა თეორიამ გაუსწრო პოსტსტრუქტურალიზმს. ყოველთვის ძნელი იყო ნათელი საზღვრის გავლება პოსტსტრუქტურალიზმსა და პოსტმოდერნისტულ თეორიას შორის. არსებითად, ასეთი საზღვრები არც კი არსებობს. პოსტმოდერნისტული აზროვნება შეიძლება განვიხილოთ, როგორც პოსტსტრუქტურალიზმის გაგრძელება და ჰიპერტროფია. დამოუკიდებლად იმისაგან, შეიძლება თუ არა ნათელი საზღვრის გავლება ამ ორ მიმდინარეობას შორის.